

სსიპ საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური  
ამწეებისა და მათი ოპერატორების დაქირავების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ  
სხდომის ოქმი N 2

ქ. ფოთი

„09“ დეკემბერი 2020 წელი

სსიპ საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიულ სამსახურში ჩატარდა სატენდერო კომისიის სხდომა, ელექტრონული ტენდერით ამწეებისა და მათი ოპერატორების დაქირავების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

სხდომას ესწრებოდნენ:

ნინო წულაია - სსიპ საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურის დირექტორის მოადგილე კომისიის თავმჯდომარე.

კომისიის წევრები:

ნანა გადახაბაძე - სსიპ საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურის საფინანსო სამმართველოს უფროსი, მთავარი ბუღალტერი, კომისიის წევრი;

რიჩარდ ქაქუჩაია - სსიპ საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურის ხარისხის მენეჯერი, კომისიის წევრი;

თენგიზ გაჩეჩილაძე - სსიპ საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურის სანავიგაციო ნიშნების ტექნიკური მომსახურებისა და მონიტორინგის სამმართველოს, კოლხეთის მონაკვეთის ტექნიკური უზრუნველყოფის მთავარი სპეციალისტი, კომისიის წევრი;

ალექსანდრე ზარქუა - სსიპ საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურის სანავიგაციო ნიშნების ტექნიკური მომსახურებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი, კომისიის წევრი;

გიორგი ქართველიშვილი - სსიპ საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურის ჰიდროგრაფიული კვლევის, კარტოგრაფიისა და კორექციის სამმართველოს უფროსი, კომისიის წევრი;

ნიკა მიმინოშვილი - საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურის რადიო-ნავიგაციური სამმართველოს უფროსი, კომისიის წევრი;

აპარატის წევრები:

თამარი კოკაია - სსიპ საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურის ადმინისტრაციული სამმართველოს შესყიდვების კოორდინატორი;

მაია გურალია - სსიპ საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურის დირექტორის თანაშემწე, სხდომის მდივანი;

შენიშვნა: სხდომას არ ესწრებოდნენ: რამაზ კინწურაშვილი - სსიპ საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურის სინოპტიკური სამმართველოს უფროსი, კომისიის წევრი და თეა გუნია - სსიპ საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურის ადმინისტრაციული სამმართველოს იურისტი.

დღის წესრიგი:

სსიპ საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურის მიერ ელექტრონული ტენდერით, ამწეებისა და მათი ოპერატორების დაქირავების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის SPA200003062 სატენდერო პირობებში ცვლილების შეტანა.

კომისიამ განიხილა:

სატენდერო აპარატის წევრის, სსიპ საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურის ადმინისტრაციული სამმართველოს შესყიდვების კოორდინატორის, თამარი კოკაიას 2020 წლის 09 ოქტომბრის N 997/03 სამსახურებრივი ბარათის შესაჯამისად საჭიროა, ამწეებისა და ამათი ოპერატორების დაქირავების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, 2020 წლის 07 დეკემბერს გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის SPA200003062 სატენდერო პირობებში ცვლილების შეტანა, კერძოდ: სატენდერო განცხადებაში დაფინანსების წყაროდ მითითებულ უნდა იქნას 2021 წლის სახსრები, ნაცვლად 2020 წლის სახსრებისა.

კომისიამ განხილვის შედეგად დაადგინა:

1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“-ს მე-19 მუხლის შესაბამისად, შევიდეს ცვლილება ამწეებისა და მათი ოპერატორების დაქირავების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის SPA200003062 სატენდერო განცხადებაში, კერძოდ: შეიცვალოს დაფინანსების წყარო 2021 წლის სახსრებით (ნაცვლად 2020 წლის სახსრებისა).
2. სატენდერო კომისიის აპარატს დაევალოს, კანონმდებლობით დადგენილი წესით, უზრუნველყოს სატენდერო დოკუმენტაციის ცვლილება და წინამდებარე ოქმის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში განთავსება.

კომისიის თავმჯდომარე:

ნინო წულაია

კომისიის წევრები:

ნანა გადაბაბიძე

რიჩარდ ქაქუჩია

თენგიზ გაჩეჩილაძე

ალექსანდრე ზარკუა

გიორგი ქართველიშვილი

ნიკა მიმინოშვილი

აპარატის წევრი:

თამარი კოკაია

მაია გურულია